ირა, 24 ოკდომბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 24 ოკდომბერი, 1904 წ.

ივერია

№ 243 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 243

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ. — კ.
11 ,, . .	9 ,, 50 ,,
10 ,, . .	8 ,, 75 ,,
9 ,, . .	8 ,, — ,,
8 ,, . .	7 ,, 25 ,,
7 ,, . .	6 ,, 50 ,,
6 ,, . .	6 ,, — ,,
5 ,, . .	5 ,, 50 ,,
4 ,, . .	4 ,, 75 ,,
3 ,, . .	3 ,, 50 ,,
2 ,, . .	2 ,, 75 ,,
1 ,, . .	1 ,, 50 ,,

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გაზეთი
,,ივერია“

-ლ ნომრებიდგან წლის დამლევამდე ჰღირს **2** მან. **75** კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ნტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
კვირას, 24 ოკდომბერს,
პეტროვა-ზვანცევის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
ვერთერი
ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსნესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დონსკოი-ეიხენვალდისა, პეტროვა-ზვანცევა, ზასლავსკისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, კომაროვი, გალეცკი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.
კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.
ფასები ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 25 ოკდომბერს,
ქ-ნ ვ. პ. ანტონოვას მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
ტრავიატა
ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

სამშაბათს, 26 ოკდომბერს,
გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა.
ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
კარმენ
ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.
მზადდება წარმოსადგენად პირველად M-lle ფიფი, 1 მოქმ., მუსიკა ც. კიუისა.
ბილეთები იყიდება.
გამგე ი. კელლერი.

ტელეფონი № 63. წარმ. № 3.
სახაზინო თეატრი
ოთხშაბათს, 27 ოკდომბერს, 1904 წ.
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
ბ ნ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
პირველად
ახალი მოძღვრება
დრამა 4 მოქმ. და 7 სურ. ბარეტისა,
თარგ. კანდელაკის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ან. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნატალია მესხი, ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, ივანიძე, იმედაშვილი, შათირიშვილი, შალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, იორდანაშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.
ადგილების ფასი დაკლებულია.
მზადდება წარმოსადგენად: «იულიოს კეისარი», «ღალატი» და სხვ.
ამხანაგობის დირექცია.
მორიგე რეჟისორი კ. მესხი.

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით
წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი
სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.
კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.
(30—23).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ნაწერები ს. მესხისა
ტ. 1. II+533 გვ.
ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

გამოვიდა და ისყიდება
კატალოგი
წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.
ფასი 15 კაპ.
ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. ზ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ზ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
გ. ხოლოდაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ქალი ექიმი **ა. ი. ზბარბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას. 7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიდოვის. № 5

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ტფილისი 24 ოკდომბერი.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-6546 ნომერში ახალ ამბავთა შორის სწერია:

„ამ ცოტა ხანში ტფილისს ეწვევა საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი პროფესორი ბუდილოვიჩი, რომელმაც საერო განათლების მინისტრის მინდობილებით რევიზია უნდ უყოს (!) მასწავლებლებს და გადასწყვიტოს ზოგიერთი საკითხი“...

ჩვენ არ შეგვიძლიან წინდაწინ განვსაზღროთ, რა საკითხების გადასაწყვეტათ მოდის ტფილისში პროფესორი ბუდილოვიჩი, მაგრამ ჩვენის მხრივ არ შეგვიძლიან არ ვინატროთ, რომ ამ საკითხთა შორის უკანასკნელი ადგილი მაინც ჩვენის მშობლიურის ენის სწავლების საკითხსაც ჰქონდეს დათმობილი... ცხადზე უცხადესია, რომ ქართველს ერს აქვს იურიდიული და ზნეობრივი უფლება—სთხოვოს უმაღლესს მთავრობას, რათა საერო სასწავლებლებში თითოეულ ქართველისათვის სავალდებულო იყოს მშობლიურ ენის შესწავლა.

ქართველი ერი ცოცხალი ერია და თვისი ეროვნული არსებობა მეოცე საუკუნემდის მოიტანა; იმ საუკუნემდის, როდესაც პიროვნულ თავისუფლების მოძღვრებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ყველას ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

დღეს დიდ და საგრძნობელ ნაკლად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ საერო საშუალო და მდაბალს სასწავლებლებში ან არ ასწავლიან სრულიად ქართველებს ქართულს და ან ასწავლიან საყველ-პუროდ. მშობლიურ ენის შესწავლა ქართველებს უმაღლესის მთავრობისაგან დაშლილი არა აქვთ; ამ ენას რამდენადმე თვით სახელმწიფო კანონ მდებლობაც იფარავს... რას უნდა მივაწეროთ, მაშ, რომ ჩვენს მდაბალს და საშუალო საერო სასწავლებლებში ასეთს სამწუხარო მდგომარეობაშია ქართული ენა?! მისი იქ სწავლება არ-სწავლებას უდრის, ისე პატივაყრილია და აბუჩად აგდებული. ქართულ ენის სწავლების ანორმალურს მდგომარეობას ამტკიცებს, სხვათა შორის, შემდეგი გარემოებაც: ვსთქვათ, დღეს ქართველი მოწაფე უცხადებს სასწავლებლის მთავრობას, მსურს ქართული ვისწავლოო,—ხვალ ეს მოწაფე, ქართულის ენის მასწავლებელმა რითიმე უსიამოვნოდ გაჰხადა, ან ცუდი ნიშანი დაუსვა, ან კითხვა დაუწუნა, ან რამ შენიშნა, მოწაფე მიდის სასწავლებლის მთავრობასთან და ეუბნება, ქართულის ენის სწავლა აღარ მსურსო. ესრედ, დღეს რომ ოცი მოწაფე ჰყავდეს ქართულის მასწავლებელს,—ხვალ შეიძლება ხუთის მეტი აღარ დარჩეს.

როცა ასე პატივ-ახდილია და აბუჩად აგდებული საგანი, რასაკვირველია, ღირსება და ფასი ეკარგება იმ მოწაფეთა შორის, რომელნიც ჯოხისა და შიშის ქვეშ აღზრდილნი არიან.

ზოგჯერ, ღვთის წინაშე, თვით მოწაფის მშობლების ბრალია, ქართულ ენას რომ არა სწავლობს მათი შვილი სასწავლებელში. მშობლები უცხო ენის დიდ გავლენის ქვეშ ზრდიან შვილებსა, რომლებსაც ამის გამო არ შეუძლიანთ თავისუფლად საუბარი და მსჯელობა მშობლიურს ენაზე. მშობლიური ენა ზოგიერთებმა სუსტად იციან: წიგნს ერიდებიან, ჟურნალ-გაზეთობას არ კითხულობენ, ქართულს თეატრში, ქართულს საყდარში არ დადიან; ამხანაგ-მეგობართა შორის ქართულად არ ლაპარაკობენ. თვით მშობლებიც კი არ ელაპარაკებიან ქართულად. ამ მშობელთა შორის ქართველ პედაგოგებსაც კი ვხვდებით.

ასეთის გავლენის ქვეშ აღზრდილ მოწაფისთვის ქართული ენა, რასაკვირველია, რომ საყვარელი ენა არ იყოს. მოწაფეს ვერ მოსთხოვთ განყენებულ ფილოსოფიურს მსჯელობას დედა-ენის დაცვის საჭიროების თაობაზედ... ის უფრო სინამდვილეს ემორჩილება... სინამდვილე კი არ უჩვენებს მშობლიურის ენის სიმშვენიერეს, სიმდიდრეს და არ უღვიძებს ამ ენის ჭეშმარიტის სიყვარულის გრძნობას.

მაგრამ ზოგიერთგან კი თვით ქართულისა ენის მასწავლებლები არიან დამნაშავენი, რომ ქართულის ენის შესწავლას უდროვოდ თავს ანებებენ მოწაფენი. ქართულის ენის სწავლებას ისეთნი ჰკიდებენ, ხელს არც მწერლობისა და არც გრამმატიკის რომელთაც არა გაეგებათ-რა. ამის გამო მოწაფეთა გულში ვერ გააღვიძებენ სურვილს დედა-ენის საფუძვლიანად შესწავლისას,—ვერ შეაყვარებენ მოწაფეს ქართულს წიგნს, ქართულს გაზეთს, ქართულს თეატრს, ქართულს სიტყვიერებას. მშრალი, უსიცოცხლო სწავლება მშობლიურის ენისა მიუტევებელი ცოდვაა.

ქარულის ენის თვითოეული მასწავლებელი, სანამ ამ ენის სწავლებას ხელს მოჰკიდებს, უნდა დაეკითხოს თავის თავს: შეუძლიან თუ არა ამ ენის სწავლება? თუ არ შეუძლიან, სჯობს ხელს ნუ მოჰკიდებს, თორემ ეს მოწაფეების ეროვნულს აღზრდა-განვითარებას დიდათ ავნებს... ასეთი მასწავლებელი თვითვე უთხრის სამარეს დედა ენას.

ქართველი მოწაფეც, რომელსაც დედა-ენის სიყვარული გაღვიძებული არა აქვს, სარგებლობს მასწავლებლის უმეცრებით ან არ სწავლობს ამ საგანს რიგიანად და ან სულ არ სწავლობს,—თავს ანებებს და თავიც მოაქვს იმითი, რომ ქართულს ენას არ სწავლობს; ყოყოჩობს, ვიღაცას თავს აწონებს... ერთის სიტყვით,—ქართულის ენის სწავლება ჩვენს საერო სასწავლებლებში შემთხვევითის ხასიათისაა, მსწრაფლ წარმავალია, მტკიცე ნიადაგზე არაა დამყარებული და ღრმა კვალს არა სტოვებს მოწაფის გულში.

ასე იქმნება ქართულის ენის საქმე.—თუ ჩვენვე არ ვიზრუნეთ მისთვის,—თუ ჩვენვე არ ვთხოვეთ, ვისაც ჯერ-არს—ქართულის ენის სვე-ბედის განკარგება, გაუმჯობესება. პოლონეთში და ფინლიანდიაში დღეს ყოველგან სავალდებულოა პოლონურის ენის სწავლება,—სომხები ყველგან სწავლობენ თავის მშობლიურს ენას,—ასე გასინჯეთ, მაჰმადიანებსაც კი დიდი უფლება აქვთ მინიჭებული თავის ენის შესასწავლად... მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ვართ ჩამორჩენილები, დაქვეითებულები ამ საქმეში... უფრო კი ჩვენისავე დაუდევრობითა, ხმის ამოუღებლობითა...

როცა დღევანდელს ასეთს სილაჩრეს, ასეთს დაძაბუნებას ვუცქერით,—თითქო აღარა გვჯერა, თუ ოდესმე ქართველი მამაცი იყო; მთელი მოთხრობა ქართველთა სიმამაცისა—განზრახ შეთხზული არაკი ჰგონია კაცსა...

ჩვენი თავად-აზნაურობა ჩვენებურს დედათა გიმნაზიებს ყოველ წლიურს შემწეობას აძლევს ბანკის მოგებიდამ და ძლიერ კარგი იქმნება, როგორც წინადაც გვითქვამს, ამ შემწეობას თვისი ნამდვილი სახელი ერქვას,—რომ ის ფული ხმარდებოდეს მშობლიურის ენის სწავლებას... ეს ისეთი საყურადღებო საკითხია, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია თვით ჩვენის ერის სვებედი. . რისთვის ვივიწყებთ რუსთველის სიტყვებს:

«სიკვდილამდის ვის მოუკლავს
თავი კაცსა გონიერსა?!...»

ჯერ, ღვთით, ცოცხლები ვართ ქართველები, გვაქვს ენა, საყდარი, თეატრი, მწერლობა, მიწა-წყალი, სამშობლო ისტორია, დიდებული წარსული, და ნუ თუ უგუნურება არაა, განზრახ სამარის გათხრა და ცოცხლივ ჩვენის ხელითვე ჩვენის თავის დამარხვა?!

ომის ამბები
დეპეშები და წერილები.

რუსის ჯარის უფროსები. გაზეთ «რუსსკია ვედომოსტი»-ებში ვკითხულობთ შემდეგს: 1) გენერალ-ლეიტენანტს ბარონ შტაკელბერგს აბარია ციმბირის პირველი არმეისკი კორპუსი. უკანასკნელი შესდგება ორის დივიზიისაგან, რომლებსაც უფროსობენ გენერლები გენკრონსი და კონდრატოვიჩი; 2) ციმბირის მეორე არმეისკი კორპუსი აბარია გენერალ-ლეიტენანტს ზასულიჩს. მისს დივიზიებს უფროსობენ გენერლები მოროზოვი და ალექსეევი; 3) ციმბირის მესამე არმეისკი კორპუსი—გენერალ-ლეიტენანტს ივანოვს, რომელსაც დივიზიების უფროსებათა ჰყავს გენერლები კაშტალინსკი და დანილოვი; 4) ციმბირის მეოთხე კორპუსი—გენერალ-ლეიტენანტს ზარუბაევს. მისს დივიზიებს უფროსობენ გენერლები ლევესტამი და კოსოვიჩი; 5) ციმბირის მეხუთე არმეისკი კორპუსი—გენერალ-ლეიტენანტს დემბოვსკის. დივიზიების უფროსებათ არიან გენერლები ორლოვი და ეკკი; 6) ციმბირის მეექვსე არმეისკი კორპუსი აბარია ინფანტერიის გენერალს სობოლევს, რომლის დივიზიებსაც უფროსობენ გენერლები იგნატიევი და ტუგან-ბარანოვსკი; 7) პირველი არმეისკი კორპუსი—კავალერიის გენერალს მეიენდორფს. მისს დივიზიების უფროსები არიან გენერლები აფანასოვიჩი და ჩეკმაროვი; 8) მერვე არმეისკი კორპუსი—გენერალ-ლეიტენანტს მილოვს, რომლის დივიზიებს განაგებენ გენერლები სუსანოვი და ივანოვი; 9) მეათე არმეისკი კორპუსი—გენერალ-ლეიტენანტს სლუჩევსკის. ამის დივიზიებს განაგებენ გენერლები გერშელმანი და მაუ; 10) მეჩვიდმეტე არმეისკი კორპუსი—კავალერიის გენერალს ბილდერლინგს, რომლის დივიზიებიც ექვემდებარებიან გენერლებს იანჟულსა და დობრჟინსკის.

თვითეულ ამ ათს კორპუსსა ჰყავს აგრეთვე თვითო საპიორთა ბატალიონი. რაიცა შეეხება ცხენოსანს ჯარებს, იგინი განაწილებულ არიან განსაკუთრებულ დივიზიებათ და ბრიგადებათ, რომელნიც ექვემდებარებიან არა კორპუსების უფროსებს, არამედ დიდის რაზმების სარდლებს. ასეთი დივიზია მანჯურიაში ოთხია და სულ ყაზახებისაგან შესდგება. იგინი აბარია გენერალ-ლეიტენანტს რენენკამფს და გენერალ-მაიორებს: სამსონოვს, გრეკოვს და ტელეშევს. ბრძოლის ველზედ არის აგრეთვე ხუთი ბრიგადა-კავალერიისა, რომელთაც უფროსობენ გენერლები: სტეფანოვი, მიშჩენკო, თ-დი

ორბელიანი და ორიც სხვა. ამ უკანასკნელთა გვარები არა სჩანს. გარდა ამ კორპუსებისა, დივიზიებისა და ბრიგადებისა, მანჯურიის მთავარ-სარდალსა ჰყავს კიდევ სხვა და სხვა ნაწილი კერძო ჯარებისა, რომელთა დანიშნულება ჯერ არ არის გამორკვეული. (რუს. ვედ.).

რას გვერჩის ევროპა? როდესაც ჩვენს ესკადრას უბედურება შეემთხვა ჩრდილოეთ ზღვაში და იძულებული შეიქმნა ზარბაზანი დაეშინა მეთევზეთა გემებისათვის, მთელი ევროპა ყალხზედ შედგა: მაშ თუ მაგრეა, ინგლისმა უნდა ომი გამოუცხადოს რუსეთსაო. თვით ინგლისის გაზეთები ხომ სულ ცეცხლს აფრქვევდნენ და საზოგადოებას აღელვებდნენ მთავრობის მიმართ, რომ უკანასკნელს არამც და არამც გული არ მოებრუნებინა რუსეთზედ და უეჭველად ამოეღო სამარი ხმალი ქარქაშიდამ. ამ გვარი უბედურება პირველი არ არის ევროპაში. ყოფილა რამდენიმე მაგალითი, რომ ერთის სახელმწიფოს გემს შემთხვევით დაუღუპნია მეორის გემი, მაგრამ ომის ბაირაღის აფრიალება ფიქრადაც არავის მოსვლია. მაშ რა მიზეზია, რომ ეხლა ასეთი განგაში ასტეხა არა მარტო ინგლისმა, არამედ მთელმა ევროპამაო, ეკითხება თავის თავს ბ-ნი მეწშიკოვი გაზეთ «ნოვოე ვრემიაში» და თითონვე იძლევა პასუხს. იგი ამბობს, რომ ეს მიზეზი უნდა ვეძებოთ რუსეთისა და ევროპის კულტურის განსხვავებაში. თუ აქამომდე ჩვენს შორის შემაერთებელი ძალა იყო ქრისტიანობა, ამ ერთის საუკუნის განმავლობაში განათლებულმა ქვეყნიერობამ სხვა შემაერთებელი ძალა იპოვნა და ეს ძალა არის ერთობა კულტურისა. წინად, რაკი ჩვენც ქრისტიანები ვიყავით, ევროპა გვენათესავებოდა, უმცროს ძმათ გვიგულებდა, ჩვენი ავ-კარგი ეპიტნავებოდა, თანაგრძნობით შემოგვყურებდა. ჩვენც ევროპასავით ქრისტეანები ვართ, იაპონელები კი კერპთ-თაყვანის მცემელნი; ჩვენც ევროპის თეთრ-კანიან თესლისაგანა ვართ წარმომდგარი, იაპონელები კი ყვითელ-კანიან მოდგმის ხალხია. მიუხედავათ ამისა, ინგლისმა კავშირი შეჰკრა იაპონიასთან და ჩვენ კი ისეთის მტრულის თვალით გვიყურებს, რომ თუკი შემთხვევა იხელთა, გადასაყლაპათაც არ დაგვინდობს. აი მიზეზი იმ განგაშისა, რომელიც გამოიწვია ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ. ჩვენ მაინც არ უნდა შევშინდეთ და ხმა-მაღლა ვაუწყოთ ევროპას, რომ ჩვენ მისნი სისხლნი და ხორცნი ვართ, რომ ჩვენც ვაფასებთ მისს კულტურულ მისწრაფებას და რომ ჩვენ მხოლოდ დროებით ჩამოვრჩით. ჩვენცა გვყავს დაწინაურებული კაცები, რომელთა მეცადინეობითაც გაიღვიძებს რუსეთი და დაადგება განათლების გზასა. თუ ასეთი ჩვენი ძახილი ვერ გასჭრის, მაშინ მეტი გზა აღარ დაგვრჩომია—უნდა მტერს დავხვდეთ მტრულად, უნდა შევუერთდეთ აღმოსავლეთ ქვეყნებს და მათთან ერთად ჰკუაზედ მოვიყვანოთ გადამტერებული ევროპაო. რაკი სიძულვილია, დეე, მოჰხდეს, რაც აუცილებელიაო. (ნოვ. ვრ.).

ახალი ამბავი

აკაკის ავადმყოფობა. ჩვენი სასიქადულო მგოსანი თავ. აკაკი წერეთელი გუშინ, 23 ოკდომბერს, ცოტათი უქეიფოდ შეიქმნა, მარცხენა თვალის ქუთუთოს სისუსტე აქვს. ამ ჟამად ჩვენს საყვარელს მგოსანს თავს ადგანან და სწამლობენ ექიმები ვახ. დ. ღამბაშიძე და ალ. დიასამიძე. ექიმების აზრით, საშიში არა არის-რა მოსალოდნელი, მხოლოდ საჭიროა სრული მოსვენება.

⁂ **დიდის მთავრის ჩამობრძანება.** გუშინ-წინ, 22 სეკდემბერს, ტფილისში ჩამობრძანდა სამხედრო სასწავლებელთა უფროსი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და კადეტთა კორპუსში დაბინავდა.

⁂ **ომში მოკლულ-დაჭრილნი.** 29 სეკდემბრიდან 6 ოკდომბრამდე ომში მოკლულან და დაჭრილან შემდეგნი კავკასიელნი, ქართველნი და სომეხნი.

დაჭრილან: პოდპოლკოვნიკი თავ. ილია ზაქარიას ძე მაყაშვილი, პოდპოლკოვნიკი თავ. მიხეილ საჩინოს ძე ჩხეიძე, შტაბს-კაპიტანი სეროფ-არაქელ ტერ-ეღიაზარიანცი, პოდპოლკოვნიკი თავ. ესტატე გიორგის ძე ჩერქეზიშვილი და პოდპორუჩიკი ივანე მაქსიმეს ძე ცომაია; გაიკენწლა პორუჩიკი თავ. სტეფანე ბარძიმის ძე ჩხეიძე და მოკლულ იქმნა შტაბს-კაპიტანი დიმიტრი შახნაზაროვი.

⁂ **ქართველი ტყვეები იაპონიაში.** «რუსკი ინვალიდ»-ში დაბეჭდილია სია რუსის ტყვეთა; ამ სიაში, სხვათა შორის, მოქცეულია ორის ქართველ ჯარის კაცის გვარი: არსენ სვანიძე და გრიგოლ მაღარაშვილი. ორივენი ყოჩაღად და ჯანმრთელად არიან.

⁂ **თავ. გლ. სგ. მიქელაძის** განცხადებას, რომელიც ამას წინად გვქონდა დაბეჭდილი, სახელდობრ იმის თაობაზედ, რომ ქალაქმა გადასდოს 10,000 მან. ავლაბარში მე-2 სავაჟო გიმნაზიის პარალელურ და მოსამზადებელ კლასების დასაარსებლად, განიხილავს ქალაქის საბჭო ხვალ, 25 ოკდომბერს.

⁂ **სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო** დარბაზს აკურთხებენ დღეს, 24 ოკდომბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, საკუთარს შენობაში, გრიბოედოვის ქუჩაზედ. კურთხევაზედ მიწვეულნი არიან საპატიო სტუმარნი.

⁂ **კიდევ უხვი შეწირულება.** გარდაცვალებულ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის ძმებს, როგორც „ბაკ. იზვ.“-ა გადმოგვცემს, რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებლის ბაქოს განყოფილებისათვის შეუწირავთ 15,000 მანეთი ბიბლიოთეკისა და ქიმიურ ლაბორატორიის გასაფართოვებლად.

⁂ **«ლალატი» სომხურად.** 19 ოკდომბერს ბაქოში წარმოუდგენიათ სომხურს ენაზედ თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა «ლალატი». მთავარი როლი — ზეინაბი — უთამაშნია ქ-ნ სირანუიშს. ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, პიესა ძლიერ მოსწონებიათ თურმე ადგილობრივ სომხის საზოგადოებას და მსახიობთაც კარგად უთამაშნიათ.

⁂ **ცხენის რკინის გზა ფოთში.** ფოთის ქალაქის საბჭომ 10 ოკდომბერს დაამტკიცა ფოთში ცხენის რკინის გზის გაყვანის პროექტი.

⁂ **შუა ქართლში მალიან გახშირდა ქურდობა.** ქურდ-ბაცაცებს უფრო, ოსებს ხელმძღვანელობენ შინაურები. ხშირად კვალს მივიტანთ ხოლმე, მაგრამ მოხელეების უყურადღებობით ვერას ვარიგებთ. ბევრჯელ იერიშიც მივიტანეთ ქურდ-ბაცაცებზე და შევიპყარით კიდეც, მაგრამ ყველაფერი ბოლოს მორიგებით გათავებულა.

ქუთაისის ახალი ამბები

თავ. დ. ო. ნიჟარაძის საქმე. ხვალ, 25 ოკდომბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად თავ. დ. ო. ნიჟარაძის საქმე, რომელსაც ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელთა შეურაცხყოფა ჰბრალდება.

⁂ **ს. ბ. თოფურიას სახსოვრად.** 27 ოკდომბერს ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების სხდომაა დანიშნული, ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, ამას წინად გარდაცვალებულის ექიმის სამსონ ბესარიონის ძის თოფურიას ხსოვნის პატივ-ს აცემლად.

⁂ **რუსული დრამა ქუთაისში.** ოთხშაბათს, 20 ოკდომბერს, ტფილისიდგან ქუთაისს ჩავიდა ტფ. საარტისტო საზოგადოების ანტრეპრენიორი ბ-ნი მეიერხოლდი და გამართა წარმოდგენა. დადგმულ იქმნა ან. პ. ჩეხოვის ოთხ-მოქმედებიანი პიესა, უკანასკნელი ნაწარმოები «Вишневый садъ». წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო. ბ-ნი მეიერხოლდი აპირებს, დროგამოშვებით ჰმართოს წარმოდგენები ქუთაისში. კარგი იქნება, ბ-ნი დონსკოიც გაჰმართავდეს ხანდახან ქუთაისში საოპერო წარმოდგენას.

⁂ **ექსკურსია.** 20 ოკდომბერს ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მე-VI კლასის მოწაფენი წავიდნენ ექსკურსიად ჩაქვას, ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად, და იქიდგან ბათუმს.

⁂ **ამხანაგობა «კოლხიდამ»** უკვე აირჩია რამდენიმე აგენტი სოფლებში დასაგზავნად და ბამბის სასყიდლად. იმედია, აგენტები წესიერად და სინდისიერად შეასრულებენ თავიანთ მინდობილებას ამხანაგობის საკეთილდღეოდ.

საქართველო

თელავი, ქურდობა და მისი გასამართლება. ამ ბოლო ხანში გამრავლდა ქურდობა, დუქნების მტვრევა, ყაჩაღობა, საქონლის პარვა და სხვ. ბევრი გლეხი დაკარგულ საქონელს პოულობს ქურდების შემწეობით, პოულობს კი არა, ყიდულობს ქურდებისგან. გავა რამდენიმე დღე, პატრონს გადაუწყდება იმედი დანაკარგის პოვნისა; ამ დროს გამოჩნდება ერთი ვინმე და ეუბნება: შენი საქონელი შემიძლიან გიპოვნოო, მხოლოდ თითო სულზე 20 მანეთს თხოულობენო. სულ დაკარგვას, მეტი რა გზა გაქვს, უნდა მისცეო. რას იზამს საწყალი გლეხი, ყიდულობს ხელმეორედ ერთხელ წვითა და დაგვით შეძენილს საქონელსა.

სწორედ ასეთის საქციელის გამო 11 ოკდომბერს შეიკრიბა მთელი ს. შილდაური. აქამდინ თუ არ ამხელდნენ და ეშინოდათ ქურდებისა, დღეს ერთბაშად ამოიღეს ხმა; სწორედ გასაოცარი ამბავი მოახდინეს: ვინც კი ეგულებოდათ ქურდი, სულ კეტებითა სცემეს, ჩვენ საქმეს ჩვენ უკეთ გავასამართლებთო, ჩვენსავით სხვას როდი დაეწვის გულიო. ვინც ქურდები ქომაგს გაბედავდა, იმასაც ზედ აყოლებდნენ. ამას გარდა, დაუხოცეს საქონელი და ხორცი სოფელს დაურიგეს. აი, ასე გაასამართლეს.

გასო თუმანაშვილი.

დ. ცხინვალი. ახლად ჯარში გაყვანილნი. დადგა შემოდგომა. ჩვენს დაბას, ისედაც «მხიარულს», სიკეკლუცით მონარნარე-მოელვარეს, ზედ ჯარში გაწვეულ «ძმა-ბიჭების» თარიალალეს ღრიალიც დაერთო. მთლად აირია მონასტერი: ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს და პატრონი—ძაღლს. ქუჩებში გავლა ყოვლად შეუძლებელია. იქ გესმით ლანძღვა-თრევა, უწმაწური სიტყვები და აუარებელი სტვენა-ყიჟინი. ბოქაულის სასტიკი ბრძანება და გაონავრებულ «სტრაჟნიკ»-მამასახლისების მათრახები ვერ აფერხებს ამ საერთო „მეჯლისს“.

წელს ბოქაულმა აუკრძალა ცხინვალის მიკიტნებს სასმელების გაყიდვა. მაგრამ ჩვენი „დადოლა, ბატონკი და ბელტიჩი“ მაინც არ დაიშლიან სასმელების გაყიდვას (მალვით-ფარვით მაინც), თუნდაც მიქელ-გაბრიელი მოღერებულის ცელით თავს დაუყენოთ.

ნელი.

ღია წერილი ბატონს მოქალაქეს.

ვკითხულობ თქვენს წერილს ქალაქის მოურავის არჩევანის შესახებ *) და ვერ გამიგია ეგ საკვირველება.

ბძანებთ თუ, ჩვენს საბჭოში უმრავლესობა ოპოზიცია იყოო. «რასაც კი მოიწადინებდა, ყველაფერს გაატარებდა საბჭოში, გინდაც ორივე დანარჩენი ჯგუფები შეერთებულიყვნენ მის წინააღმდეგაო». თქვენც გიკვირთ, რომ «ოპოზიციას ასეთი ძალა ჰქონდა, მაგრამ ჩვენში სწორედ ასე იყოო».. მერე მაგის მიზეზი?

მიზეზს შეიტყობთო, ბძანებთ, და მოგვითხრობთ შარშანდელს ამბავს,—გამგეობის წევრის არჩევანს და ოპოზიციის კანდიდატის ოპოზიციისაგანვე გაშავებას. მართალია, უცნაური ამბავი მოხდა, მაგრამ არც ისეთი დიდი გამჭრიახობა დასჭირდებოდა „ცნობის ფურცელს“, რომ მაშინვე მაგ საკვირველებაში ღალატი და ვერაგობა გამოეცნო. საკვირველი უფრო ოპოზიციის გულუბრყვილობა და წინდაუხედაობა იყო, რომ ზოგიერთის თავისისავე მომხრის ვინაობა არ იცოდა და მათს ხრიკს წინადვე ვერ მიხვდა. მაგრამ უარესი საკვირველება ის იყო, რომ ოპოზიციის თავმჯდომარის (?) თ-დის ა. მ. არღუთინსკის წერილმა, „ცნობის ფურცელში» დაბეჭდილმა, დააშოშმინა არა მარტო საზოგადოება, არამედ თვით ოპოზიციაც, რომელსაც უკედ უნდა გაეგო საარჩევნო მანქანები.

შარშანდელმა ღალატმა რომ ოპოზიციას თვალი მაინც ვერ აუხილა, ეს იქიდან სჩანს, რომ წრეულს, ქალაქის მოურავის არჩევანშიაც, ოპოზიცია ხელახლად მოსტყუვდა.

ახლა თქვენ, ჩვენდა სანუგეშოდ, ბძანებთ რომ, «ამის შემდეგ ყველასათვის ცხადია საქმის ნამდვილი ვითარება. ნამდვილი ოპოზიციონისტები ზიზღით განშორდებიან ამ უგვან ბრბოს და კვლავ დაიჭერენ ჩვენს საბჭოში იმ ადგილს, რომელიც უჭირავს ყველგან საბჭოს საქმეებში ოპოზიციას. მგლებს გააძრობენ თხების ტყავსა, რადგან ისინი ვეღარ იშვნევენ მაღალ ფარდებიდან ლიბერალურ ფრაზების ტყორცნას, და უჩვენებენ მათს შესაფერს პლათფორმასაო».

თქვენს პირს შაქარი, მაგრამ ვინ არის თავდები, რომ ნამდვილი ოპოზიციონისტები ახლა კი მიხვდნენ ღალატს და მერმისს აღარ გაბრიყვდებიან? შარშან ლიბერალმა «ცნობის ფურცელმა» გააფრთხილა და ვერ დააჯერა, წრეულს ვითომ «შოვინისტმა» «ივერიამ» უნდა ჩააგონოს?! ვაი, თუ კიდევ ბ-ნ არღუთინსკის სოფიზმებმა დააშოშმინოს?!...

წყალსაც წაუღია მაგისთანა ოპოზიცია, მტერი და მოყვარე ერთმანერთში რომ ვერ გაურჩევია. მე უფრო ჩვენს, მოქალაქების, გაჭირვებას ვჩივი. ჩვენთვის არის საჭირო, ერთი ისეთი ღვთისნიერი კაცი გამოგვიჩნდეს, რომ იმ მგლებს ტყავი გააძროს და დაგვანახოს, თორემ საარჩევნო ყუთთან კაცი დგეხარ ხოლმე და არ იცი, თხას უგდებ კენჭსა, თუ მგელს.

რადგან თქვენც ჩემსავით მოქალაქე ბრძანებულხართ, პირველობა თქვენთვის დამითმია და ხელს ვაწერ—

მოქალაქე № 2.

„სოფლის საჭიროება“.

ამ სათაურით გამოვიდა რუსულად ახალი, ფრიად საყურადღებო და საინტერესო წიგნი. წიგნში მოთავსებულია მთელ რუსეთში განთქმულ პუბლიცისტების—არსენიევის, მილიუკოვის, ლეონტიევის, როზენბერგის, სტრახოვსკისა და შრეიდერის წერილები სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად შემდგარ კომიტეტის შრომის შესახებ. გაზეთი «რუს. ვედ.»-ი ამ წიგნს არჩევს და მოჰყავს იქიდგან რამდენიმე ფრიად საყურადღებო ადგილი, რომელიც სავსებით ახასიათებს ამ კომიტეტების შრომას, მიმართულებას და დასკვნას. დასკვნაში მშვენივრად გამოიხატა არა თუ მარტოოდენ კომიტეტების წევრთა აზრი, რწმენა და მიმართულება, არამედ რუსეთის ამა თუ იმ მიმართულების ინტელიგენციის სურვილი და აზრი იმ საჭირბოროტო და დიდ-მნიშვნელოვან საგნების შესახებ, რომლებზედაც ჰფიქრობს და მსჯელობს რუსეთის მკვიდრთა უმეტესობა.

„კომიტეტებს მიანდეს თავიანთ აზრის გამოთქმა სასოფლო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ,—ამბობს პატივცემული გაზეთი და განაგრძობს:—კომიტეტებმა ეს პროგრამა გააფართოვეს: უარ-ჰყვეს სამიწადმოქმედო მრეწველობის ტეხნიკური საჭიროება, შეიგნეს, რომ საზოგადოდ მიწადმოქმედების დაქვეითება და კერძოდ—გლეხთა მამულების გაჭირვებული მდგომარეობა ჩვენის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების შედეგია და ამიტომ ყველაზედ წინ საგლეხო საქმე და მთელის რუსეთის საჭიროება წამოაყენეს. კომიტეტმა თავისი მთავარი ყურადღება მიაქცია იმ სხვა და სხვა გარემოებას,

---

*) ნახე «ივერია» № 238.

ფელეტონი

დანიშნულ დროზე.

(Rendez-vous).

დე-გრუასესი.

მონოლოგი ქალისთვის სცენიდან წასაკითხი

„ჩემთან მოდიო“! არა, როგორ გამიბედა ამისი თქმა! განა შესაძლოა, ახალგაზრდა ქალი ქმრის დაუკითხავად ეწვიოს ყმაწვილ კაცს, თუნდაც ჩაის დასალევად!... ოჰ, არა, არასოდეს!! რა ვუყოთ, რომ ერთხელ ხელზე ვაკოცნინე? მართალია, მერე მკლავზედაც მაკოცა... მერე ლოყაზე... იმ უსინდისომ ტუჩებზედაც მაკოცა!... მაგრამ განა ეგ საბუთია, რომ... ოჰ, არასოდეს!! არა, მართლაც და ვინა ვგონივარ?! კაცმა თავისი და სხვისი პატივი უნდა იცოდეს. კარგია თქვენმა მზემ: ყველა ქალები,—რომელნიც რაიმე შემთხვევით ვაჟკაცებს ლოყაზე ან თუნდა ტუჩებში აკოცნინებენ,—ეგრე ადვილად... ეგრე ადვილად მეტის ნებას რომ მისცემდნენ, ჰერიჰა!.. ეგ სადღა წავიდოდა! (იღიმება და იცინის) მაშინ არშიყობა რაღა საჭირო იქნებოდა! ხოლო ქალისათვის არშიყობისთანა სასიამოვნო არა არის-რა ამ ქვეყნად!.. არშიყობა ქმრისაგანაც კი გიამება, არა თუ უცხო კაცისაგან! დიახ! ოჰო? პირველი საათია და ალბად მიმელის. რამდენიც უნდა, იმდენი მელოდოს! ნეტა ვიცოდე, რა უფლებით მიმელის? (ბეჯითად) რაც უნდა იყოს, მე პატიოსანი ქალი ვარ და ძვალ რბილში გამჯდარი მაქვს ჩემი მოვალეობა... პირველი საათი გათავდა და აგერ ხუთი წუთიც გასულა! (ნაკლების ბეჯითობით) მე მაინც პატიოსანი ქალი ვარ; რა ვუყოთ რომ არშიყობა მიყვარს და მიხარიან, როცა მეარშიყებიან. განა ეს რა დიდი ცოდოა? ყველა ქალს უყვარს აშიყობა!.. მართლაც, განა მარტო ჩემმა არშიყობამ გაბედვინა ის, რომ მაკოცა და მითხრა—ჩემთან მოდიო! არა, მე ძრიელ დავაშავე, რომ მაშინათვე არ გამოვლანძღე; მაშინათვე უნდა ამელაგმა! (დიმილით) ფხა ვერ გამოვიჩინე... ახი კი იქნებოდა იმაზე! (გადაწყვეტით) ეხლა რა ვქნა, რომ ეგეთი სუსტი ხასიათი მაქვს—ვერას გზით ვერ გაუჯავრდები უცხო კაცს!.. მერე ის ხომ არც ისე უცხოა... თითქმის ბავშობიდანვე გვმეგობრობს... არა, მე ეხლა გავიცანი, მაგრამ ჩემის ქმრის დიდი ხნის ამხანაგია თურმე. განა ჩემის ქმრის მეგობარი ჩემი მეგობარიც არ უნდა იყოს? (იცინის) მეორესი ათი წუთია! ოჰო, რა მოუთმენლათ მიმელის ალბად! (გულზვიადად) ახია! რამდენიც უნდა მელოდოს!.. მართლაც და ვინა ვგონივარ?! (ჩაფიქრდება) ნეტა ვიცოდე, ოთახი როგორა აქვს მოწყობილი? ორი ოთახი მიჭირავსო—კაბინეთი და საწოლი ოთახი. უეჭველია, ორივე ოთახი მშვენივრად ექნება მორთული... დიდი გემოვნების პატრონი კია! რა თქმა უნდა, სურათებიც ბევრი ექნება, მერე ის... იმისთანა სურათები.. აი ნახევრად რომ გახდილნი არიან... ზოგი კი სულ გახდილია!.. მე ჯერ არ მინახავს ყმაწვილის, უცოლო კაცის ოთახი... საინტერესო კი უნდა იყოს!... ღმერთო, ხუთმეტი წუთიც გასულა! ნეტა ვიცოდე დიდ ხანს კი მოიცდის?! კარგი კი იქნება რომ ქუჩაში დავდგე და დავინახო, როცა გამოვა... (თავს შეიმაგრებს) არა, არა; ეგ ვერაფერი საქციელი იქნება. ესეც არ იყოს, მე ჩემის თავის ამბავი ვიცი: იმის სახლთან რომ მივიდე, ვერ მოვითმენ და პირდაპირ შევალ! (თავს იმშვიდებს) მერე ვითომ რა ცუდს ჩავიდენდი რომ შევსულიყავი! ხომ არ შემჭამდა! მართლაც და ძალადობაზე ხომ არ არის! ან კი ცუდი აზრი ხომ არა ჰქონია რა—ერთ ფინჯან ყავაზე მეწვიეთო! ყავას დავლევ და ისევ წამოვალ, მინამ ქმარიც მოვა სამსახურიდან. (დიმილით) ან იქნება ჰგონია, რომ... იქნება იმედი აქვს, დავინახავ თუ არა, მაშინათვე კისერზე ჩამოვეკიდები?! ვერ მოგართვით! ოჰ, ესლა გვაკლდა თქვენმა მზემ!.. არა, ტყუილი იმედებია ბატონო! არა, თუ წავალ მხოლოდ იმ განზრახვით, რომ დავუმტკიცო, თუ რას ნიშნავს პატიოსანი ქალი! ოჰო რა რიგად შერცხვება და დაისჯება ჩემი თავსგასული არშიყი!.. მაგრამ რომ არ წავიდე? არა, უსათუოდ წავალ, თორემ ასე იფიქრებს, შეეშინდა და იმიტომ არ მოვიდაო! (დაცინვით) ნურც აგრე მაღლა მოგაქვთ თავი, ჩემო ბატონო! სულაც არ მეშინიან და თუ... ვითომ ვერ გაუძალიანდები თუ? რა საინტერესო უნდა იყოს, როცა ვაჟ-კაცს უძალიანდები! (თამაშობს) თავი დამანებეთ! თავი დამანებეთ მეთქი! თავი დამანებეთ, თორემ... არა, წავალ, უთუოდ წავალ! ჰუი, მეორეს ნახევარია! ნახევარ საათს დავიგვიანებ, ეგეც ხომ რასმე ნიშნავს!.. ერთბაშათ კი არ მივსულვარ დანიშნულ დროზე, არამედ ნახევარის საათის დაგვიანებით.—(თავმოწონებით) ეგ, სხვა არა იყოს რა, დიდკაცური... არისტოკრატული საქციელი იქმნება! (თან იხურავს შლიაპას და გადის).

ნინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც საზოგადოების თვით-მოქმედებას აფერხებს.

კომიტეტების შრომის შედეგი იყო— მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა და წინ წამოყენებული მთელი პროგრამა, რომელშიაც გამოთქმულია ათასნაირი სურვილი და მოთხოვნილება რუსეთში არსებულ პოლიტიკურ წეს-წყობილების შეცვლისა. ეს პროგრამა თხოულობდა იმ რეჟიმის უარყოფასა და გაუქმებას, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრების დაქვეითების მიზეზად იქმნა აღიარებული. მართალია, კომიტეტების მოქმედებას წინ ზოგიერთი დაბრკოლება დაუყენეს, მაგრამ აუარებელ მოხსენებითა და წარმოთქმულ სიტყვებით კომიტეტის წევრებმა თავიანთი აზრი ეხლანდელ საჭიროებათათვის მაინც ისეთ ძლიერებით, ერთსულობითა და გულ-წრფელობით აღიარეს, რომლის მსგავსი რუსეთის საზოგადოებას დიდი ხანია არ გამოუჩენია. კომიტეტებმა ხმა-მაღლა წარმოსთქვეს, რომ საჭიროა შემოღებულ იქმნას ფართო, კულტურულ და კანონიერ უფლებაზე დამყარებული რეფორმა, რომელსაც შეუძლიან რუსეთი მართლიერებით მოსილ სახელმწიფოდ გადააქციოსო. კომიტეტებმა აღიარეს, რომ გლეხთა გაჭირვებისა და რუსეთის დაქვეითებულ ცხოვრების ბოროტი ფესვი იმალება ბიუროკრატიულ ოპეკის იმ რეჟიმში, რომლითაც გამსჭვალულია სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანიზმი და რომელმაც ყველგან ხალხის შემოქმედებითი ძალა მოჰკლა და მტკიცე კანონების მაგივრად ადმინისტრაციის თვითნებობა დაამყარა. საქმის ამ გვარი მდგომარეობა კომიტეტებმა შეურყეველის სიმტკიცითა და სინამდვილით დაამტკიცეს. ცხოვრების განახლებისათვის კომიტეტებმა საჭიროდ დაინახეს, რომ მტკიცე კანონიერება დაედოს საფუძვლად ცხოვრებას. „სანამ რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრების საერთო ვითარება არ შეიცვლება, სანამ მართვა-გამგეობას საფუძვლად კანონიერება არ დაედება და სანამ ეს მართვა-გამგეობა საზოგადოებრივ სასტიკ კანტროლს არ დაექვემდებარება, მანამდის სამეურნეო მრეწველობის სამწუხარო მდგომარეობის გაუმჯობესობა შეუძლებელია“. «ამ საერთო ვითარებიდან,—განაგრძობს «რუს. ვედ.»-ი—ყველაზედ უწინ უნდა განდევნილ იქმნას მზრუნველობითის ოპეკის ის რეჟიმი, რომლის ირგვლივაც, ბ-ნ გესსენის სიტყვით, კანონიერებას სული ეხუთება. რათა კანონიერება უბრალო სიტყვად არ დარჩეს, საჭიროა ყველას უზრუნველყოფილი, ხელუხლებელი, მოქალაქობრივი და საერო უფლება ჰქონდეს. სადაც დარწმუნებულნი არიან, რომ იმათი ნივთიერი და პირადი უფლება ხელუხლებელი არ არის, იქ არავითარი ნაყოფიერი მოქმედება არ შეიძლება». კომიტეტებმაც წამოაყენეს მთელი სია უფლებათა და უფრო კი ის პირადი თავისუფლება, რომელსაც უარჰყოფს ადმინისტრაციის ოპეკის მთელი სისტემა. კომიტეტებმა მოითხოვეს პირად თავისუფლების ხელუხლებლობა და ამასთან აუცილებელ საჭიროებად სცნეს იმისთანა კანონის გამოცემა, რომლის ძალითაც ყველა კაცი უნდა დაისაჯოს მხოლოდ დანაშაულისათვის და ამასთან მარტო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოითხოვეს თავისუფლება სინიდისისა, ბეჭვდითის სიტყვისა და სხვა. კომიტეტებმა ამ პროგრამას, რასაკვირველია, სხვაგვარი მოთხოვნაც ჩაურთეს: მოითხოვეს ფრიად ფართო ადგილობრივი თვითმართველობა, რომელიც ჯერ ერთი, ადმინისტრაციის ოპეკისაგან სრულიად თავისუფალი უნდა იყოს, და მეორე, თვითმმართველობის ორგანოები, როგორიც არის, მაგალითად, ერობა, უნდა მოწვეულ იქმნას სახელმწიფოს საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად; ამასთან, საერობო კრებებმა წინდაწინვე უნდა განიხილოს ის კანონ-პროექტები, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს შეეხება. საგლეხო საგნების განხილვის დროსაც კომიტეტებმა ამისთანა პროგრესიული საზომ იხმარეს და აუცილებელ საჭიროებად სცნეს, მოისპოს საგლეხო დაწესებულებანი და წოდებრივი უფლებანიო; გლეხნი უნდა განთავისუფლდნენ იმ სამზრუნველო ოპეკის რეჟიმისაგან, რომელიც საერობო უფროსთა ინსტიტუტით გამოიხატება; უნდა მოისპოს წოდებრივის ვოლოსტის სასამართლო და მის მაგიერ დაარსდეს საყოველთაო სასამართლო. ერთის სიტყვით, უფლების მხრივ გლეხნი სხვა წოდებებთან უნდა გათანასწორდნენ.

ამ პროგრესიულსა და საზოგადოებრივ პროგრამას, რასაკვირველია, ყველა კომიტეტი არ თანაუგრძნობდა. ისეთებიც კი აღმოჩნდნენ, რომელნიც სოფლის დაქვეითების მიზეზად წეს-რიგისა და მმართველობის უფლების შესუსტებასა და აქედგან წარმომდგარ გლეხთა აღვირახსნილობას სახავდნენ. ისინი ამბობდნენ: გლეხთა ამ გვარ უწესრიგობისა და თავგასულობის ასალაგმავად საჭიროა, ადგილობრივ მმართველობასა და საერობო უფროსებს უფრო მეტი უფლება მიენიჭოთო. გლეხებში სიკეთის საიმედო გამავრცელებლად აღიარეს ჯოხი და «როზგი». იაროსლავის კომიტეტში ამბობდნენ: «ხეპრე და უგუნურ პირუტყვს ჭკუას დარიგებით კი არ ასწავლიან, ამ პირუტყვს ჯაჭვით აბამენ, რათა არ ირჩოლებოდეს». მაგრამ ამისთანა კომიტეტები და ამ გვარი მსჯელობა შედარებით ცოტა იყო.

სულ სხვა ნაირი ელფერი ედო ზოგიერთ კომიტეტთა იმ პროგრამებს, რომელშიაც საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ საკითხებს არ ეხებოდნენ და რომლებიც მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზედ იყვნენ დამყარებულნი: «აგრარული ტენდენცია,—ამბობს ბ-ნი იპოლიტოვი,— ნათლად და გარკვეულად მოსჩანს ყველა იმ საკითხებში, რომელთაც მხოლოდ ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ. ეკონომიურ ინტერესების დაცვის დროს ხშირად იკარგება ყოველი იდეოლოგია და მოსჩანს მხოლოდ ერთი სურვილი: «ეს ინტერესები ყოველ ნაირად და ყოველ საშუალებით დაიცვან». ეკონომიურ პროგრამის ამ გვარმა მიმართულებამ თავი იჩინა აგრედვე გლეხების მიერ სააგრარო ბოროტ-მოქმედების გარჩევის დროს. ამ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ კომიტეტები ერთხმად თხოულობდნენ სასამართლოსა და ადმინისტრაციის მხრივ შველასა და დახმარებას. საგრარო უფლებათა დარღვევას ეს კომიტეტები ამ გვარად იმიტომ მოექცნენ, რომ ამ კომიტეტებში ცალ-მხრივი და ერთგვარი ელემენტი— მემამულეთა ყველა კლასი იყო გაბატონებული.

ახლად გამოცემულ თხზულების ამ პირველ ტომში მოთავსებული წერილები დაწვრილებით და ნათლად ახასიათებს კომიტეტების მიერ შემუშავებულ საუფლებო და კულტურულ საკითხებს. წერილების უმეტესი ნაწილი საგლეხო საქმეებს შეეხება. ეგ წერილები კომიტეტების აზრთა უბრალო კრებულს არ წარმოადგენს; კომიტეტების აზრი თავისთავადაც საიტერესოა; ეს წიგნი მკითხველთათვის უფრო საიტერესო იმით არის, რომ ყველა წერილის ავტორი მასალის სისტემატიურად დაწყებასა და დალაგებას არ დასჯერდა და მასალას კრიტიკულად არჩევს, რაიცა ფრიად საიტერესოა მარტო იმითაც, რომ წერილების ავტორები—არსენიევი, მილიუკოვი, შრეიდერი და სხვანი მთელს რუსეთში სახელ-გათქმულ პუბლიცისტებად, ეკონომისტებად და ფინანსისტებად ითვლებიან.

ჩვენის მხრივ შეგვიძლიან დავუმატოთ, რომ ზემოხსენებულ წიგნში დაუფასებელს ინტერესს წარმოადგენს სავსებით და ნათლად განათებული ის ნიადაგი, ვითარება და მიზეზები, რომელზედაც აღმოცენდა არა თუ მარტოოდენ სამეურნეო მრეწველობისა და საგლეხო მამულების ეხლანდელი დაქვეითება, არამედ ის გათახსირებული, უფერული საზოგადოებრივი ცხოვრებაც, რომელიც ბიუროკრატიულ და ადმინისტრატიულ ოპეკისა და ცენტრალიზაციის პირდაპირი შედეგი და ღვიძლი შვილია.

იაპონური ლეგენდა

(თავისუფალი თარგმანი)

ძველს დროში იაპონიის ერთს იმპერატორს სასახლეში მოეგროვებინა ძვირფასი და საუცხოვო ხელოვნებით გაკეთებული ოციოდე ლარნაკი*). ერთს მშვენიერს დღეს კარის აფიცერმა უცაბედად ხელი წაჰკრა კედელზე ლამაზად ჩამწკრივებულ ლარნაკებს, ერთი მათგანი უეცრად ჩამოვარდა ძირს და სულ ერთიანად დაიმსხვრა. ამ გარემოებამ საშინლად გაარისხა მიკადო, რომელმაც მაშინვე გასცა ბრძანება—სიკვდილით დაესაჯათ დამნაშავე. სწორედ იმ დროს, როდესაც მიკადოს ბრძანება სისრულეში უნდა მოეყვანათ, საიდგანაც იყო სასახლეში ერთი ჯოხზე დაყრდნობილი ბრამინი გაჩნდა და შემდეგის წინადადებით მიჰმართა მიკადოს:

— მბრძანებელო—დაიწყო ბრამინმა,-მე ხელთა მაქვს ისეთი საშუალება, რომლის წყალობითაც შეიძლება გატეხილ ლარნაკის კვლავ გამრთელება, მხოლოდ უბრძანეთ, რომ იმ ოთახში შემიყვანონ, სადაც ისინი აწყვია.

რასაკვირველია, ბრამინი იმ წამსვე შეიყვანეს ოთახში, სადაც დანარჩენი ცხრამეტი ძვირფასი ლარნაკი ეწყო, მაგრამ შესვლის უმალ ბრამინმა სწრაფად მოიქნია ჯოხი და სულ ერთიან გადმოყარა ძირს ძვირფასი ნივთები—მტვრად აქცია ისინი.

— უბედურო, ეს რა ჩაიდინე?—ბრაზმორევით შეჰყვირა ბარმინს იმპერატორმა, ამ უცნაურის მოქმედებით განცვიფრებულმა.

— მე აღვასრულე მხოლოდ ჩემი ადამიანური მოვალეობა—დამშვიდებით მიუგო ბრამინმა—აი, ხომ ხედავთ ამ დამსხვრეულ ლარნაკებს, თვითოეული მათგანი თქვენ გიღირთ ერთ ქვეშევრდომად; ეხლა კი, ნაცვლად, ნება გაქვთ მიიღოდ ჩემი სიცოცხლე.

აბრძანებელს მეტად მოეწონა ბრამინის ასეთი გაბედული და მტკიცედ წარმოთქმული პასუხი, მცირე ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ წარმოსთქვა:

— შენ მართალი ხარ და სრულს ჭეშმარიტებას ამბობ,მოხუცო. დიაღ, მთელს ჩემს სამეფოში რაც ოქრო-ვერცხლში დაფერილი ლარნაკები მოიპოვება, არ ღირს იმათ, რომ ერთის ჩემის ქვეშევრდომის სიცოცხლე გავცვალო მათში...

და ამ სიტყვებით სრული თავისუფლება მიანიჭა, როგორც სასიკვდილოდ გამზადებულს დამნაშავე აფიცერს, აგრეთვე გულად ბრამინსაც.

ჩინური სიბრძნე.

ბრძენს ჰკითხეს: «რა არის სათნოება»? მან სთქვა: «გიყვარდეთ ადამიანები!»—ჰკითხეს აგრეთვე: «რა არის მეცნიერებაო?» ბრძენმა უპასუხა: «გაიცანით ადამიანი»!

⁂ სიმართლე თავი და ბოლოა ყოველფრისა. სიმართლე რომ არ იყოს, მაშინ არაფერი არ იქნებოდა.

⁂ ბრძენის შეცდომა მზის და მთვარის სიბნელესა ჰგავს. როდესაც იგი სცდება, ყველანი ჰხედავენ ამას და ჰხედავენ იმასაც, თუ როგორ გასწორდება ბრძენი.

რუსეთი

ამბობენ, რომ ნოემბერში მოუწოდებენ პეტერბურგში ყველა 34 საერობო გამგეობათა თავმჯდომარეებსაო. ეს ამბავი დეპეშით უცნობებიათ ამას წინად მოსკოვიდან პეტერბურგს. გაზ. «ნოვ.»-ი ამბობს, რომ ეს ხმა ჯერ კერძო წყაროდან მომდინარეობსო. ჯერ არ ვიცით არც პროგრამა კრების მუშაობისა, არც ისა, თუ ვინ იქნება მისი ხელმძღვანელი. მაინც ეს ამბავი, თუ გამართლდა, დიდად სასიხარულო მოვლენად უნდა მივიჩნიოთო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

22 ოკდომბერი.

ლონდონი. (რეიტერი). მიწად-მოქმედების მინისტრმა გილფორდში წარმოთქმულს სიტყვაში განაცხადა: თუმცა გაიარა ინციდენტის მწვავმა კრიზისმა, მაინც არ უნდა ვიფიქროთ, რომ აღელვება განქრაო. ინდოეთის საქმეთა მინისტრმა სთქვა: თუმცა საქმე უკეთესობაშია, მაგრამ უსიამოვნობა ჯერ კიდევ სუფევსო. იმედია, რომ თუ ორთავე სახელმწიფონი მოისურვებენ, კანონიერი მოთხოვნილება ინგლისისა დაკმაყოფილებულ იქმნება ისე, რომ რუსეთის ნაციონალურ გრძნობას შეურაცხყოფა არ მიეცეს.

პარიჟი (ჰავასი). რვა ნაღმოსანთაგან, რომელნიც ლიბავიდან წამოვიდნენ, ერთი დაზიანდა დანიის ზღვებზე და უკანვე დააბრუნეს ლიბავას.

ლონდონი. (რეიტერი). გამოცხადდა ბრძანება ლაშქარში, რომ ყოველ წლივ ორის წლით ოთხ-ოთხი აფიცერი გაიგზავნოს ხოლმე იაპონიაში.

შანჰაი. (რეიტერი). დალაი-ლამა პეკინს მივიდა.

ინსბრუკი. (ვოლფი). იტალიურ იურიდიულ ფაკულტეტის გახსნის გამო ქუჩებში დემონსტრაციები მოახდინეს. საქმე სისხლის ღვრამდე მივიდა. იტალიელებმა 200 რევოლვერზე მეტი გაისროლეს; ექვსი კაცია დაჭრილი.

ყაზანი. ყაზანის ღვთის მშობლის ხატის მომპარავნი შეიპყრეს. გამოძიება გათავდა. საქმეს ნოემბერში გაარჩევენ.

პეტერბურგი. გარდაიცვალა ჟურნალ „ნივის“ გამომცემელი მარქსი.

პორტ-არტური, 22 ოკდომბერი (რეიტერი). პორტ-არტურის ლაშქარში მყოფი კორესპონდენტი, იაპონიის ცენზურის ნებართვით, დაწვრილებით აღწერს ალყის ამბავსა, რომელიც ჩინელთაგან დახლართულია. იმათგან გავრცელებულს ამბებშიაც სჩანდა, რომ ციხე საგერად ძლიერ მაგარია და მხოლოდ ეხლა შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, თუ რა ძნელი საქმე იკისრეს იაპონელებმა. მოხსენებაში აწერილია, იაპონელნი დღითი-დღე, კვირიდან კვირამდე საოცრად ცდილობდნენ რუსის სიმაგრეების აღებას იერიშითა, თუ ვერ მოახერხებდნენ კვლავ სცდიდნენ ძალღონესა, მინამდე ცოტათიც არის მაინც არ გაიმარჯვებდნენ. საშინელი იყო მათთვის კვირა 6—11 მაისს, როდესაც მათ დაჰკარგეს 14 ათასი კაცი. განუწყვეტელი და გააფთრებული იერიშები იმით გათავდა, რომ იაპონელნი უკან დააბრუნეს. ერთის პოლკისაგან, რომელშიაც 2,500 კაცი იყო, დარჩა მხოლოდ 206 კაცი. ივნისიდან სეკდემბრამდე 16 ათასი იაპონელი გახდა ავად ბერიბერითა. მიზეზი ისაა, რომ დასველებული ბრინჯი დაუმჟავდათ.

შანჰაი. (რეიტერი). ინგლისის გემმა «ვიქტორიამ» მოახერხა ალყის გარღვევა და პორტ-არტურში ხორცი შეიტანა.— ამბობენ, იაპონელებმა ყველა უმთავრესი პოზიციები დაიჭირეს ციხის ჩრდილოაღმოსავლეთად.

22 ოკდომბერი

პარიჟი. (ჰავასი). როგორც ლონდონიდან ამბავი მოვიდა, რუსეთი და ინგლისი შეთანხმდნენ, რომ სამედიატორო კომისიამ გაარჩიოს გულლში მომხდარი ინციდენტი. კომისიას კრება პარიჟში ექმნება.

პარიჟი. (ბერლინით). აქ დროებით მყოფმა საფრანგეთის ელჩმა ბომპარმა უთხრა «გოლუას» თანამშრომელსა, რომ ეჭვი არ არის, რუსები მოერევიანო. იაპონელებს ძალა გამოელიათ, როგორც სამხედრო, ისე ფინანსიურიო. იმათი ფულის წყარო დაშრაო.—მე ჩემს თავს ვეკითხები,—დაათავა ელჩმა,—საიდან უნდა იშოვონ ფული, რომ ერთს წელიწადს კიდევ განაგრძონ ბრძოლა?

მოსკოვი. მოიყვანეს 144 დაჭრილი; იმათ მოჰყვა კაპიტანი სავჩენკო, რომელიც ვაფანგოუს ბრძოლაში ფეხში იყო დაჭრილი. დაჭრილებში ბევრსა აქვთ გიორგის ჯვარი.

საღამოს დეპეშები.

23 ოკდომბერი.

პეტერბურგი. «პრავიტელსტვენნი ვესტნიკ»-ში გამოქვეყნებულია: 11-დგან 18 ოკდომბრამდე კასპიის მხარეში ხოლერით ავად გახდა 10 კაცი; ბაქოში 12-დგან 19 ოკდომბრამდე ხოლერით ავად გახდა 14 კაცი, მოკვდა—7; სარატოვში 14-დგან 19 ოკდომბრამდე მხოლოდ ერთი შემოხვევა იყო ხოლერით ავადგახდომისა. ასტრახანსა და მისს მიდამოებში 13-დგან 18 ოკდომბრამდე ავად გახდა 5 კაცი, მოკვდა—2; სამარის გუბერნიაში ჯერ ავად არავინ გამხდარა, თვით სამარაში ხოლერით 11 ოკდომბერს აქეთ ავად არავინ გამხდარა.

გიბრალტარი. 22 ოკდ. (რეიტერი). კრეისერი «ვიქტორიუსი» გაგზავნილი იქმნა, რათა დაიცვას სრუტე. იმ მეზღვაურთ, რომელთაც ნება მისცეს ნაპირზედ გადმოსულიყვნენ, სულ ახლად მოწვეულ იქმნენ გემზედ და დაუყოვნებლივ დასტოვოს ნაპირი. ბრიტანიით ოთხმა ჯავშნიანმა გემმა ბრძანება მიიღო,—დაუყოვნებლივ დასტოვეთ ნავთსადგური და დასავლეთისაკენ წადითო.

ტანჟერი, 22 ოკდ. (რეიტერი). რუსის ესკადრა წავიდა 23 ოკდომბერს, დილის 6 საათზედ; საითკენ წავიდა ესკადრა არავინ იცის.

პარიჟი. (რეიტერი) წინად უარყოფილი ცნობა იაპონელთა სამხედრო გემის «იაშიმას» დაღუპვის თაობაზედ, რომელიც დალნისთან ივნისში ნაღმს დასჯახებია, ეხლა მტკიცდება.

ჩიფუ, 22 ოკდომბერი, (რეიტერი). დალნიდგან გამოქცეული ჩინელი ამბობს —იაპონელთა აუარებელნი დაჭრილნი დალნიზედ გაატარესო. ახალი ჯარები გაჰგზავნეს ბრძოლის ველზედ. როგორც დალნში ისმის, იაპონელთ უკანასკნელ სამის თვის გამნავლობაში დაჰკლებიათ 40,000 კაცამდე, მოკლული თუ დაჭრილი.

შანჰაი. (რეიტერი). პორტ-არტურზე იერიში შეუწყვეტლივ სწარმოებს. თავგანწირულად იცავენ. ჩრდილოეთის და დასავლეთის მხარე ძიგუანშანთან იაპონელებმა დაიჭირეს, რუსები ძლიერად ესვრიან ამ ადგილს ზარბაზნებსა. ერთი საგერი ფორტი დაანგრია თოფის წამლის სარდაფის აფეთქებამ 20 ოკდომბერს. იაპონელებსა აუარებელი ზარალი მოუვიდათ. პორტ-არტურის ესკადრა ეცდება კვლავ გაარღვიოს ალყა და გავიდესო.

ინსბრუკი. (კორ. ბიურო), მთელ დღეს რავდენჯერმე მოხდა უწესოება. იტალიელთა ფაკულტეტის შენობაში შიგნით ყველაფერი მიანგრ-მოანგრიეს. ქალაქში უწესობაა კიდევ.

ჩიფუ. (რეიტერი). დალნიდან საგანგებოდ მოსული იუწყება, ბრძოლები, რომელიც პორტ-არტურთან იყო 16—20 ოკდომბრამდე თავისის სიაფთრით ყველა იერიშებს აღემატებოდაო. იტცუმანთან იაპონელებს მთელი ბატალიონები ნადგურდებოდა, მაგრამ მოეშველნენ და დაიპყრეს სანგრები. იტცუშანი გადასცქერია ვეფხის კუდის ნავსადგურსა. ერლუშანზესა და შანშუაშანის იერიშები კარგად მოუვიდათ. აქა ფიქრობენ, გაზაფხულამდე აღარ შეეცდებიან ციხის აღებასაო და, ვგონებთ, ციხის სროლას თავი დაანებესო.

ლონდონი, 22 ოკდ. (რეიტერი). პორტ-არტურის გარს-შემოდგომილ ჯარში მყოფი კორესპონდენტი შემდეგს დაწერილს ახალს ამბებს იუწყება იმ სხვა და სხვა ბრძოლისას, რომელიც აგვისტოში მომხდარა: „ძლიერი შუქი რუსთა პროჟექტორებისა და აფეთქებულ ყუმბარებისა ბევრნაირად ხელს უშლიდა იაპონელებს შეენარჩუნებინათ ის სიმაგრენი, რომელნიც უკვე დაიპყრეს გამძვინვარებულის ბრძოლის შემდეგ. პროჟექტორების შუქს რუსნი ისეთის ოსტატობით მიაყენებდნენ ხოლმე იაპონელებს, რომ მუდამ ახერხებდნენ იაპონელთა საფარ-სანგრების აღმოჩენას. ტყვიის-მფრქვეველნი ბევრს ვერას ჰშველოდნენ იაპონელებს, რადგან რუსთა მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები ჩააჩუმებდა ხოლმე მანამდე, ვიდრე ის ტყვიის მტყორცნელნი მოახერხებდნენ რუსთა დაზარალებას. რუსნი იბრძოდნენ ისე რომ თვით სიბნელეში იყვნენ და არა სჩანდნენ ხოლო იაპონელნი მალად განაბულნი იყვნენ და შუქი თვალსა სჭრიდა იმათ. ბრძოლამ გათენებამდე გასტანა 11 აგვისტოს, როცა რუსთა ჯარი იძულებული იყო უკან დაეწია და სიმაგრენი დაეტოვებინა; მაგრამ იმავე ღამეს თვით თავს დამსხმელნიც იძულებულნი იყვნენ უკან დაეწიათ ღელეში, რადგან რუსნი ტყვიას სეტყვასავით უშენდნენ. ამ სახით, იერიშს რომელიც დასაწყისი უნდა ყოფილიყო საზოგადო თავ-დასხმისა, რუსთა ტაქტიკის წყალობით, გამარჯვება კი არ მოჰყვა შედეგად, არამედ დამარცხება, რომელიც გამოაკეთა მხოლოდ იაპონელთა მეომრობის ღირსებამ.

ტანჟერი. 22 ოკდ. (რეიტერი). რუსის ფლოტი იძულებული იყო შეეწყვიტა დატვირთვა ქვა-ნახშირისა აცივების გამო. რუსის აფიცერნი ამოწმებენ, რომ „კამჩატკამ“ მოგვცა პირველად ნიშანი, ნაღმოსნები შემომერტყნენ გარსაო. მაშინ სხვა გემებმაც დაუწყეს ზარბაზნების სროლა იმ გემებს, რომელიც მოსჩანდა. თუმცა ეს ასე იყო, მაინც „კამჩატკის“ არც ერთი აფიცერი არ დასტოვეს ხმელეთზედ იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა დასჭირებოდათ, როგორც ბრალდებული ანუ როგორც მოწმე.

დროებით რედაქტორი **ფრ. ჟიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

*) ფაიფურის ვაზა.

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

15 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,25
ბერლინში „	46,30
პარიჟში . . „	—
ბირჟის დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა . . .	91⅞ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	89 მყ.
5% პირ. შინაგ. მოგ.ბილ. 1864 წ.	415 წ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	319 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	266 წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	89½ ნ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

ს ი ა

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავად მყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

ალადაშვილი, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

გედალინი, ალექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

გეცელი, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

ჯანიბეგოვი, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

ელჩიევი, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს. მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

ზაბლუდოვსკი, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

კასუმოვი, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

მირზაევი, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

საათსაზოვი, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს. ალექსანდროვის ქუჩა № 6.

თათევოსიანი, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

ხატისოვი, ნიკოლოოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში. ბებუთოვის ქუჩა № 27.

შახ-აზიზოვი, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

შჩერბინინა, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 5—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

განცხადებანი

„ცოდნა“-ს

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრესტოლის ქაღალდზედ.	60 კ.
რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . .	20 კ.
ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით	15 კ.
რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა .	10 კ.
სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან.	10 კ.
სიმღერა აკაკისა სურათით	15 კ.
წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . .	5 კ.
გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . .	20 კ.
კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა	50 კ.
ლექსიკონი რუსულ-ქართული . . .	50 კ.
ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . .	3— „
სახოკიასი რუსულ-ქართულად. . .	20 კ.
სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი	5 კ.
აბში აჩუკი აკაკისა	30 კ.
ვაჟრული ჭკუა აკაკისა , ...	5 კ.
პატარა ჩონგური (დედა ენა) . . .	5 კ.
დათუნა გოცირეძე და რაჭის ერისთავი, როსტ.	5 კ.
ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . .	5 კ.
სამი ზღაპარი . , ...	10 კ.
აბრამის და იობის ლექსი . , . .	3 კ.
თამარ მეფე სურათით	5 კ.
სურათი თამარ მეფისა დიდი . . .	1—50 კ.
» » » პატარა. . . »	6 კ.
თხზულება ია. ეკალაძისა	1— „
ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . .	„—30 კ.
თარგმანი იგივე რუსულად	„—50 კ.
დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . .	„—50 კ.
მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . .	„—20 კ.
თავ გადასავალი აკაკისა	1—„ „
სიტყვიერების თეორია ე. კ. . . .	1—„ „
გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი	1—80 კ.
დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . .	1—„ „
ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ.	9— „ „
ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით .	3— „ „
ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ.	„—60 კ.
ანტონ კათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა	1—50 კ.
ვახუშტის გეოგრაფია	2— „ „
ისტორ.ისაბუთებ შიო მღვიმის მონასტრ	„—50 კ.
ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული.	„—60 კ.
მზა მეტყველება ანტონ კათალიკოზისა.	2—50 კ.
დავით გურამიშვილი	1—„ „
ქართლის ცხოვრება I, II და III. .	1—80 „
Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос.	„—40 к.
Исторія Грузинск. церк. Е. К.	2 р. „ „
კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა .	1—„ „
ამირან-დარეჯანიანი	1—„ „
ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის .	1—„ „
რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . .	„—40 კ.

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

საქართველოს დიდება, საბინისასა. .	1—20 კ.
სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო.	„—5 კ.

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

როიაილები პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНЦАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—18)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.

(0—უ—1).

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს**, **მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

ჭრა-კერვის კურსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

მისამართი: ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(4—344—4).

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშანაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღე.

(24—24)

ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ**, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу**, მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად.

(5—5).

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს.

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნიეშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისს** და ტაშკენტში.

(60—60).

Дозволено цензурою Тифлисъ 23 октября, 1904 г.

Тип. Е. И Хеладзе Русск. базаръ, домъ арм. семинаріи